



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქთი № 8

„14“ 06

2015 წ

დადგენილება № 31

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის
 რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების დამტკიცების
 შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 პუნქტების და 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

- დამტკიცდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
- დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს სამეცნიერო ბიბლიოთეკას.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

J.

მაკა ბერიძე

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების
განვითარებისა და განახლების მექანიზმები**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო მომსახურების განვითარებას. საბიბლიოთეკო სერვისების სრულყოფილი გამოყენება, ხელს უწყობს უნივერსიტეტის კურიკულარულ და კვლევით პროგრამების განხორციელებას. ამისათვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განახლების მექანიზმები:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ახდენს საბიბლიოთეკო რესურსების შეფასებას, მოძველებული რესურსის სარგებლობიდან ამოღებას, ახალი რესურსის დამატებას. ამ მიზნისათვის ბიბლიოთეკა ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს:

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების ფაქტობრივი და პოტენციური საჭიროებების შესაბამისობის დადგენის მიზნით, მუდმივ კომუნიკაციაში არიან დეკანატებთან, სტრუქტურულ ერთეულებთან დარგობრივ და დისციპლინათა მიმართულებების წარმომადგენლებთან, რომლებიც მოიაზრებიან რესურსების პირველადი მომხმარებლების კატეგორიაში. აღნიშნული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მეშვეობით, ბიბლიოთეკა იღებს მუდმივად განახლებულ ინფორმაციას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის არსებული და პოტენციური საჭიროებების შესახებ.
- უპირატესობა ენიჭება ისეთ საბიბლიოთეკო რესურსებს, რომელთა მოცულობა და დეტალიზაცია მაქსიმალურად შეესაბამება მოცემულ საჭიროებებს და მათი გამოყენების მაღალ ხარისხს.
- შესაბამის მიმართულებებში უპირატესობა ენიჭება აგრეთვე ისეთ რესურსებს, რომლებიც შეიცავს განახლებულ და რევიზირებულ ინფორმაციას.

1. რესურსების შერჩევა

- 1.1. ბიბლიოთეკაში სპეციალურად შექმნილი გამოკითხვისა და შენიშვნების ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ერთობლივი კვლევის საფუძველზე დგინდება სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო და დამხმარე სახელმძღვანელოების დამატებითი რაიდენობა.

- 1.2. ახალი რესურსის (სახელმძღვანელო, პერიოდული გამოცემა და ა.შ.) შეძენის საჭიროების განხილვისას ბიბლიოთეკის წარმომადგენელი აფასებს შესაბამისი მიმართულებით უკვე არსებულ ბაზას. რესურსზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით ზუსტდება ეგზემპლარების რაოდენობა.
- 1.3. ხორციელდება გამომცემლობათა კატალოგების, დისიპლინების მიხედვით ელექტრონული რესურსების და სხვა შერჩევის ინსტრუმენტების გაცნობა და განხილვა. განისაზღვრება აგრეთვე, თუ რომელი სახელმძღვანელოების გაციფრულებაა მომხმარებლისთვის პრიორიტეტული.
- 1.4. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს არსებულ რესურსებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობის ზედამხეველობა.
- 1.5. ხორციელდება რეკომენდაციების და დოკუმენტაციის მომზადება ახალი ელექტრონული რესურსების მოთხოვნის შესახებ. აღნიშნული სიები წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად.
- 1.6. მუდმივად ხორციელდება განახლებული ლიტერატურისა და ელ. რესურსების შესახებ აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირება.

2. სერვისები და მათი განვითარება

2.1 ბიბლიოთეკას აქვს პროგრამული სისტემა, openbiblio რისი მეშვეობითაც ხდება მკითველთა რეგისტრაცია, წიგნების მომრაობა, რესურსების გაცნობა.

2.2. ბიბლიოთეკაში მომსახურებისა და კონსულატაცია/ტრენინგების მოთხოვნის პროცედურა და საკუთარი ინიციტივითა და/ან მოთხოვნის საფუძველზე, საორიენატაციო/საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარების წესის შესაბამისად სტუდენტებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელია:

- ჯგუფური ტრენინგების ჩატარება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების მოხმარების შესახებ და ასევე ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის მოხმარების სრულყოფისათვის. მოთხოვნის შესაბამისად, მომხმარებელს შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური მომსახურება საერთშორისო ბაზებთან წვდომის შესასწავლად.
- რეფერატების, საბაკალავრო და სადოქტორო ნაშრომების ან პროექტების ტექნიკური უზრუნველყოფისთვის და ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო საკითხებზე კონსულტაციები.
- ახალი საინფორმაციო, სასწავლო და კვლევითი რესურსებისა თუ ინსტრუმენტების, ასევე მათთან წვდომის საშუალებების შესახებ ინსტრუქტაჟი.
- საერთაშორისო პროექტების ფარგლებში საბიბლიოთეკო მომსახურების შესასწავლად, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოწვევისა და პრეზენტაციის ჩატარების მოთხოვნა.

2.3. არსებობს და გამართულია წვდომა საბიბლიოთეკო ინსფრაქტუქტურასთან, ბაზასთან, კოლექციებთან და სისტემებთან, მათ შორის პარტნიორებისა და კონსორციუმების გამოყენებით.

2.4. საინფორმაციო რესურსები (წიგნი, სახელმძღვანელო, ატლასი, პერიოდული გამოცემა, კომპაქტ-დისკი, ვიდეო ფაილები) განთავსებულია ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ასევე ბიბლიოთეკის კომპიუტერების შიდა ქსელის საშუალებით ხელმისაწვდომია ელექტრონული წიგნები. საავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით. მომხმარებელს მოთხოვნის შესაბამისად 24 საათის განმავლობაში ეგზავნება ელექტრონული წიგნი მისთვის სასურველ ელ. ფოსტაზე.

2.5 პერიოდულად ხორციელდება მომხმარებლების აზრის კვლევა არსებული რესურსებსა და სერვისებთან დაკავშირებით დამოკიდებულების და საჭიროებების შესახებ, ხდება რეკომენდაციების მიღება. კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შემუშავდება ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარების გეგმა.

3. ტექნიკური რესურსების მონიტორინგი და განახლება:

3.1. ტექნიკური რესურსების მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი აღჭურვილობის გამართულობაზე.

3.2. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურთან ერთობლივი მონიტორინგის საფუძველზე, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად დგინდება შესაძენი და გასაახლებელი კომპიუტერული ტექნიკის და სხვა ტექნიკური საშუალებების საჭირო რაოდენობა.